3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები საგენდერო კომისიას უნდა წარუდგინონ 2003 წლის 27 აგვისტოდან 1 სექტემბრის 17 საათამდე ქართულ ენაზე. მისამართი: ქ. თბილისი, წურწუმიას 12, საჯარო სამართლის იურიდიული პირი — საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანსპორტო სამმართველო „დიპტრანსი“, ტელ: 77-85-98.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡ:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა ნოგარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა მსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

4.2. ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠ ᲞᲘᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡ:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა მსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩინია დავალიანება;

ე) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;

ვ) ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და არ დამტკიცდება პრეკვენდენტად თუ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. ტენდერში მონაწილე პრეკვენდენტებმე სატენდერო დოკუმენტაცია გაიცეცა 500 ლარის ოდენობის საგენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 9 სექტემბრიდან 12 სექტემბრის 17 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, წურწუმიას ქ. 12. საჯარო სამართლის იურიდიული პირი — საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანსპორტო სამმართველო „დიპტრანსი“. საგენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საჯარო სამართლის იურიდიული პირი — საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანსპორტო სამმართველო „დიპტრანსი“, მისამართზე: ქ. თბილისი, წურწუმიას ქ. №12, ტელ: 77-85-98.

ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲐᲒᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ „ᲓᲘᲞᲢᲠᲐᲜᲡᲘᲡ“ ᲢᲔᲜᲓᲔᲠᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ.

ᲨᲔᲡᲐᲡᲧᲘᲓᲘ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲡᲐᲮᲐᲠᲯᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲗᲐᲓᲐᲠᲘᲒᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ

ჩამონათვალი საქონლის აღწერა



ᲨᲐᲑᲐᲗᲘ
9 აგვისტო

08.00, 15.00 მოამზე **08.15** მხ. ფილმი **"ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲯᲐ"** **09.50** ᲒᲣᲚᲑᲐᲗᲡᲠᲘᲐᲚᲘ "ᲒᲠᲘᲚᲘᲢᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲝᲜᲘᲝᲜᲘ" **10.15** ᲪᲘᲪᲘᲜᲝᲡ ᲐᲜᲘᲡᲐᲛᲔᲚᲘ "ᲗᲐᲠᲘᲙᲘᲝᲜᲘ" **10.25** დოკ. სერიალი "ᲐᲒᲐᲗᲘᲜᲝᲕ" **10.45** მხ. ფილმი **"ᲡᲐᲠᲐᲤᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲗᲘ"** **12.20** დოკ. ფილმი "კაცი, რომელმაც პოლეონი მოატყუა" **13.15** მეტრო **13.50** კვალი **14.25** საქართველო, დრო, მოვლენები **15.00** "მოამბე" **15.15** მხ. ფილმი **"ᲛᲘᲠᲐ ᲡᲘᲜᲐᲠᲐᲕᲐ"** **16.55** სანინდარი **17.25** "ოჯოს ფრთა" **18.00** "ვესტნიკი" **18.45** "თბილისის დროითი" **19.05** ენერგია **19.30** "ეკოდაიჯესტი" **20.00** მოამბე **20.35** სერიალი **"ᲡᲘᲡᲐᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲗᲘ"** მე-3 ს. **21.25** პროფაითული **22.00** "შორეული ახლობელი" (ფ.ბუდუულოღლი) **22.40** პარიზის ოლიმპიური ფესტივალი **23.05** მერეის ანსამბლი "უნივერსიტეტი" **00.15** მოამბე **00.30** მხ. ფილმი **"ᲛᲘᲠᲗᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲞᲐᲠᲔᲚᲘ"**

08.00 კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** ფიფქია **09.50** ცხოველთა ომები **10.20** საბ.ფილმი "პერკულესის თავგადასავალი" **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.50** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** დოკ. სერიალი "ველური სამყაროს ამბები" **17.40** სერიალი **"ᲮᲔᲗᲣᲛᲘᲡ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ"** **18.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი **"ᲮᲔᲗᲣᲛᲘᲡ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ"** **19.35** დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" **20.05** სერიალი **"ᲛᲝᲜᲐᲗᲔᲠᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ"** **21.00** **ᲥᲠᲘᲖᲘᲡᲘ** P.S. **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** **ᲨᲣᲜᲘ**. მხ.ფ. **"ᲛᲘᲠᲪᲚᲘᲡᲘ ᲫᲐᲠᲘ"** რეჟ: ლევ ულმანი. **02.20** მხ.ფილმი **"ᲛᲐᲚᲘᲜᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲘᲜᲒᲘ"**. მთ. რ-ში: ტომ კრუზი, კოლინ ფარელი.

08.00 ანონსი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი **"ᲐᲠᲐᲛᲘᲜᲘ ᲝᲜᲐᲠᲘᲐ"** **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ახალი ამბები **13.10** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი **17.20, 18.30, 21.55, 01.00** მუსიკა **18.00, 19.30** ᲒᲣᲚᲑᲐᲗᲡᲠᲘᲐᲚᲘ ფერები **20.30** ლიტერატურული გადაცემა - სიღუეტები **21.00** დოკ. ფილმი **23.30** მხ. ფილმი **"ᲞᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲡᲘ"** **02.40** ღამის ფილმი

09.00 ქრონიკა **09.05, 13.40, 23.30** იმედის მელოდიები **10.20** ანიმაციური სერიალი "მითიური მეომრები" **10.45** მხ. ფილმი **"ᲕᲐᲜᲓᲐᲚᲘᲖᲛᲘ"** **12.30** სერიალი **"ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ"** **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 21.00, 22.00** ქრონიკა **13.15** სერიალი **"ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ"** **13.50** თოქ-შოუ "არჩევანი თქვენ" **15.10** რეტროსსკოპი **"ᲡᲘᲚᲐᲛ ᲞᲐᲠᲐᲓᲘᲖᲘ"** **17.15** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისათვის" **18.00** ერთხელ პოლეიუდში **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.25** სერიალი **"ᲕᲘᲠᲯᲘᲜᲘᲐᲜᲘ ᲛᲔ ᲓᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ"** მე-5 ს. **21.05** ქართ. სერიალი **"ᲛᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡᲚᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲜᲘ"** მე-8 ს. **22.45** "საღამოს ღიმილი" **23.00** "კლიპ-ლოტო" **00.30** მხ. ფილმი **"ᲞᲐᲠᲐᲜᲝᲘᲐᲚᲘ"**.

09.00 მულტფილმი "შრეკი" **10.35** მხ. ფილმი **"102 ᲓᲐᲚᲛᲐᲢᲘᲜᲔᲚᲘ"** **12.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 17.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.10** საბავშვო სერიალი **"ᲛᲘᲛᲘᲜᲐᲠᲐ ᲕᲔᲠᲔᲥᲐᲠᲗᲘᲡᲚᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲘ"** **18.05** სერიალი **"ᲛᲝᲜᲐ ᲚᲘᲖᲐ"** **19.00** სერიალი **"ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲘ"** **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.30** მხ. ფილმი **"ᲞᲐᲠᲐᲓᲘᲡᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ"** **22.30** მხ. ფილმი **"ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲯᲐᲥᲐᲠᲘ 2"** **00.40** მზის სერენადა.

12.00 მხ. ფილმი **"ᲡᲐᲮᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲔᲯᲘᲠᲘᲗᲘ"** **13.30** მხ. ფილმი **"ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲗᲐᲜᲘ"** **15.00** მხ.ფილმი **"ᲬᲐᲛᲘᲛᲘᲜᲘᲡᲐ"** **17.00** მხ. ფილმი **"ᲠᲝᲑᲘᲜ ᲰᲣᲓᲘᲡ ᲐᲠᲐᲜᲓᲘᲡᲐ"** **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი **"ᲔᲜᲘᲡᲔᲘᲡ ᲒᲐᲜᲯᲐᲠᲘᲜᲘᲡᲐ"** **22.30** მხ. ფილმი **"ᲐᲠᲪ ᲪᲘᲪᲘᲜᲐᲢᲘ, ᲐᲠᲪ ᲛᲐᲓᲚᲘᲐᲠᲘ"** **00.20** მხ. ფილმი **"ᲓᲐᲠᲬᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲬᲐ"**

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** სალონი **13.30** ექიმი გვიორჩეკს **14.30** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **15.00, 21.00** ვესტი **15.30** საბავშვო მუსიკალური კოლაჟის გაგრძელება **16.00** ლაბირინთი **17.00** მუსიკალური პაუზა **17.30** თქვენი აფროკატი **18.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **20.00** თინეიჯერი **21.30** "ზერკალო" **22.00** "და ღმერთმა შექმნა ქალი" **22.30** საოცარი პირამიდა **23.00** მხ. ფილმი

09.00 მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ფილმი **15.00** მუსიკა **16.00** ფილმი **"ᲗᲕᲘᲗᲐᲛᲤᲠᲘᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲚᲘ"** მთ. რ-ში სანდრა ბალოკი, ბენ აფლეკი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **19.50, 20.15** სეული ხაზი **21.15** ქართული მუსიკათეული **22.35** კვირის საუკ. ლექსები **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** "ბრავო" **"ᲛᲔᲜᲐᲠᲘᲜᲘ"** მთ. რ-ში ტომი ლი ჯონსი, ბენისიო დელ ტორო. **01.50** "ღამური" **"ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡᲘᲡᲘᲡ"**. მთ. რ-ში მელ გიბსონი, რენე რუსო. **03.45** პაუზის გარეშე

09.30 სერიალი **"ᲞᲐᲯᲐ-ᲮᲔᲠᲘ"** **10.20, 12.30, 16.20, 17.20** მუსიკა **10.30** მულტსერიალი "ტომი და შინა" **11.00** სერიალი **"ᲐᲠᲪᲘᲜᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ"** **12.00** დოკ. ფილმი "მსოფლიო ფერწერის ისტორია" **12.40** მხ. ფილმი **"ᲓᲐᲛᲔᲡᲘᲜᲔ ᲜᲐᲒᲐᲚᲐᲛᲘᲡᲘ"** **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** დოკ. სერიალი "ფოტოორობატი" **15.35** სერიალი **"ᲛᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡᲚᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲜᲘ"** **16.30** დოკ. სერიალი "ფოტოორობატი" მე-4ს. **17.50** სერიალი **"ᲞᲐᲯᲐ-ᲮᲔᲠᲘ"** **18.40** მულტსერიალი "ტომი და შინა" **19.00** "საუბრები სტუდიაში" **20.00** დოკ. სერიალი "ფაქტზე დაფუძნა" მე-10ს. **21.15** ფილმი-კონცერტი "ბრიტნი სპირსი" 1-ლი ს. **22.15** ტელემეტრი — გარუჯვა-აკვარიუმი **22.30** გადაცემა "ოლიმპი" — ფრენკ სინატრა **22.45** მოკლ.მხ.ფილმი **"ᲓᲘᲓᲘ ᲗᲕᲘᲗ ᲑᲣᲜᲘᲡᲘᲡ"** **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.20** მხ. ფილმი **"ᲛᲝᲜᲐᲗᲔᲠᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ"**.

ᲙᲕᲘᲠᲐ
10 აგვისტო

08.00 მოამზე **08.10** ზოოპარკი **08.25** მხ. ფილმი **"ᲛᲘᲠᲘᲐᲛᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲐᲛᲤᲠᲘᲜᲘ"** **09.50** დოკ.სერიალი "ქვეყანა, ქვეყნები" **10.45** "ამბები ჩვენზე" **11.15** "ტვლტო" **12.05** სპა **12.30** მხ. ფილმი **"ᲒᲘᲜᲘᲡᲘᲡ"** **13.55** დოკ.სერიალი "ავანტიურისტი მედიკოსები" **14.25** არათბილისური ამბები **15.00** მოამბე **15.15** სპექტაკლი **"ᲡᲘᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲦᲔ"** **17.15** მულტსერიალი "ბრისტანი და იზოლდა" **17.20** საკვირაო გამოფენა **17.35** ტელეზღაპარი **18.00** ფეხბურთი. თბილისის **"ᲓᲘᲐᲛᲝᲜᲓᲘᲡᲘ"** — გორის **"ᲛᲔᲠᲪᲔ"**. შესვენებისას "აკიაშოუ" **20.00** ტაიმ-აუტი **20.55** ამბობენ **21.25** სერიალი **"ᲡᲘᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲗᲔᲠᲘ"** **22.15** "დაკარგული ნიღბები" (თ.ჩანტლაძე) **22.20** მეალიმანია **23.30** დოკ. ფილმი "სანნახელი" **00.05** ტაიმ-აუტი **00.40** მხ. ფილმი **"ᲛᲐᲓᲐᲒᲐᲡᲙᲐᲠᲘ"**.

19.00 მულტფილმი **19.30** დიზაინი **19.50** მრავალსახეობა **20.30** შტრიხები პორტრეტებისთვის **21.00** მოკლ. მხ. ფილმი **"ᲥᲐᲯᲘ"** **22.00** შვიდეული **23.00** მხ. ფილმი **"ᲡᲐᲜᲗᲣᲠᲘᲡ ᲠᲘᲩᲐᲜᲓᲘᲡᲘ"**.

08.00 კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** ფიფქია **09.50** ცხოველთა ომები **10.20** საბ.ფილმი "პერკულესის თავგადასავალი" **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.50** მხ.ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.10** სერიალი **"ᲮᲔᲗᲣᲛᲘᲡ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ"** **18.00, 00.00** კურიერი **18.20** სერიალი **"ᲮᲔᲗᲣᲛᲘᲡ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ"** **19.00** მხ. ფილმი **21.00** კურიერი **21.45** ჩვენი ეზო **22.00** "ჯეოსელის კინოკლუბი" - **"ᲜᲘᲭᲘᲠᲘ ᲛᲘᲡᲮᲕᲔᲚᲘ"** **877 45-79-25** იან მაკ კეელენი, ბრედ რენფორო, **"ᲛᲐᲚᲘ ᲨᲔᲜᲯᲐᲠᲐᲜᲘ"** **877 45-79-26** რომი შნაიდერი, ვიქტორ ლანუ, **"ᲨᲔᲯᲐᲠᲐᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲛᲘᲡᲐᲠᲘ"** **877 45-79-27** დენიდ ნორმანი, ჯეიმს ბრედფორდი. **00.10** მხ.ფილმი **"ᲡᲘᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲗᲔᲠᲘ ᲙᲐᲠᲒᲘᲠᲘᲡᲘᲡ"**. მთ. რ-ში: გიენ ლკოუზი, მიშელ პფაიფერი.

08.00 ანონსი, მულტფილმი **08.20** აღსავალი **08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50** მუსიკა **08.30** ახალი ამბები **09.00** მხ. ფილმი **"ᲒᲘᲚᲘᲢᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲡᲘ"** **10.20** მულტფილმი **10.50** მხ. ფილმი **12.30** გადაცემა - მურადა (განმ.) **13.00** მხ. ფილმი **15.00** თეთრი კვადრატი — ბეჭდი რენი **17.00** ბალეტი **20.00** მხ. ფილმი **"40 ᲓᲦᲔ ᲓᲐ 40 ᲦᲐᲛᲔ"** **22.00** ტელეკინო-ვიდეო **23.00** მხ. ფილმი **"ᲯᲐᲕᲨᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲯᲘᲜᲘ"** **01.00** ღამის ფილმი

08.55 ქრონიკა **09.05, 16.40, 18.00, 01.20** იმედის მელოდიები **10.20** ანიმაციური სერიალი "მითიური მეომრები" **10.50** სერიალი **"ᲨᲕᲘᲪᲐᲠᲘ ᲛᲘ ᲓᲦᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲚᲘᲡᲐᲜ"** მე-5 ს. **12.30** სერიალი **"ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ"** **13.00, 15.00, 16.45, 19.00, 21.00, 22.00** ქრონიკა **13.15** სერიალი **"ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ"** **13.40** თამაში "ბოიარის ციხესიმაგრე" **14.30** სპორტ. პროგრამა "ახი" **15.15** ქართ. ფილმი **"ᲛᲘᲜᲐᲠᲔᲗᲘ ᲨᲔᲛᲘᲡᲐᲚᲘ"** **16.45** "საღამოს ღიმილი" **17.15** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისათვის" **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.30** სერიალი **"ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲘ"** **20.00** "ᲮᲔᲗᲣᲛᲘᲡ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ" მე-2 ს. **20.30** X-კლუზივი **21.05** ქართ. სერიალი **"ᲛᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲜᲘ"** მე-9 ს. **22.45** მუღამები **23.10** მხ. ფილმი **"ᲨᲘᲨᲘ ᲞᲘᲠᲨᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲘᲡ ᲒᲘᲠᲩᲘᲜᲐ"** **01.35** ქრონიკა.

09.00 მულტფილმი "ყველა ძაღლი სამოთხეში მიდის" **10.30** მხ. ფილმი **"ᲨᲘᲨᲘᲡ ᲡᲐᲚᲘᲜᲘᲡᲘᲠᲘ ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲘ"** **12.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 17.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.10** საბავშვო სერიალი **"ᲛᲘᲛᲘᲜᲐᲠᲐ ᲕᲔᲠᲔᲥᲐᲠᲗᲘᲡᲚᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲘ"** **18.05** სერიალი **"ᲛᲝᲜᲐ ᲚᲘᲖᲐ"** **19.00** სერიალი **"ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲘ"** **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.30** მხ. ფილმი **"ᲡᲐᲜᲓᲐᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲯᲐᲠᲘᲜᲘᲡᲐ"** **22.30** მხ. ფილმი **"ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲗᲐᲜᲘ"** **00.30** მზის სერენადა.

12.00 მხ. ფილმი **"ᲒᲘᲠᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲒᲠᲔᲯᲝᲚᲐ"** **13.30** მხ. ფილმი **"ᲨᲘᲨᲘ ᲞᲘᲠᲨᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲘᲡ ᲒᲘᲠᲩᲘᲜᲐ"** **15.00** მხ. ფილმი **"ᲛᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ"** **19.00** ინდ. მხ. ფილმი **"ᲠᲝᲑᲘᲜ ᲰᲣᲓᲘᲡ ᲐᲠᲐᲜᲓᲘ

საქართველოში პირველად

მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტი

გთავაზობთ

მშრალისტის პროფესიის დაუფლებას ევროპული სტანდარტების დონეზე შემოქმედებითი სახელოსნოს პრინციპით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და ტელეკომპანია „იმედის“ ბაზებზე.

გეძლევათ უნიკალური შანსი
პარალელურად დაეუფლოთ მეორე პროფესიას

- **პრობლემის წამყვანი და სარეფერენტო ხელოვნება**
- **საზოგადოებასთან ურთიერთობები**
- **პოლიტოლოგია-კონფლიქტოლოგია**
- **საბართალმდცოდნეობა**
- **ძართულ-ევროპული ფილოლოგია**
- **ტურიზმი**
- **ეკოლოგია**
- **ეკონომიკური ურთიერთობები**

და სწავლა განაგრძოთ **ერთწლიან მაგისტრატურაში.**

გათვალისწინებულია შედავათები, სტიპენდიები და დასაქმება.

ფუნქციონირებს **კოლეჯი** და **ფილიალები**

ოზურგეთში, სამტრედიაში, ზუგდიდში

საბუთების მიღება 29 აგვისტომდე.
მ. კოსტავას ქ. 14,
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“
IV სართული, ოთახი 19.

ტელ: 93-35-99; 93-26-99; 38-94-33; 899 24-18-86; 899 17-21-21.

ტელეკომპანია „იმედი“ გთავაზობთ

სატელევიზიო თოქშოუ „არჩევანი — თქვენ“

„თავისუფლება არჩევანის შესაძლებლობებით განისაზღვრება. ადამიანის ცხოვრებაც განუწყვეტელი არჩევანის გზით და ფორმით მიმდინარეობს. არჩევანს ასლაეს განსჯა. განსჯას კი პასუხისმგებლობა. ეს ყოველივე ნების გამოვლინებაცაა“.

ჯანრი კაშია.

ეს თემატური კოლიზია ხდება ის საბაბი, რომელიც საინტერესო მსჯელობას, ცხარე კამათსა და დაბაბულ დისკუსიას იწვევს სტუდიაში, ტელემაყურებელს კი მნეობრივ, ყოფით და ეთიკურ პრობლემებზე ფიქრისთვის განაწყობს.

ავტორი და მასპინძელი — ჯანრი კაშია.
პროგრამის ხელმძღვანელი — ქეთევან კაპანაძე.
რედაქტორი — თამარ ებრალიძე.

არჩევანის სამუალება ყოველთვის გვაქვს, თუმცა კრიტიკულ სიტუაციებში ადვილი არჩევანი არ არსებობს, — ასეთია ყოველკვირეული თოქშოუს **„არჩევანი — თქვენ“** დედააზრი, ეს არის პირველი თოქშოუ საქართველოში, რომელიც მნეობრივ საკითხებს ეხება. ავტორი და მასპინძელია — ფილოსოფოსი, მწერალი და ჟურნალისტი **ჯანრი კაშია,** რომელიც სტუდიაში მოწვეულ უდიგორიას სთავაზობს ცხოვრებისეულ, მძაფრ ფსიქოლოგიურ და მნეობრივ კოლიზიის შემცველ კინოთემას, რომელიც გმირს აუცილებელი არჩევანის წინაშე აყენებს. კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილი დილემა დღევანდელობის ყველაზე მტკივნეულ სოციალურ და კულტურულ პრობლემებს ეხმიანება. სწორედ

მონადირეთა საყურადღებოდ! გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს განცხადება

საქართველოს კანონის „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე სამოყვარულო და სპორტული ნადირობის უფლება ეძლევათ მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის მფლობელებს.

გადამფრენ ფრინველებზე 2003-2004 წლების სანადირო სეზონისათვის განსაზღვრული ერთჯერადი სახელობითი ლიცენზიების მიღება შესაძლებელია:

ქ. თბილისში — დავით აღმაშენებლის გაშშ. №79 (ყოფილი მ. გორკის სახელობის პარკში).

საქართველოს სხვა ქალაქებსა და რეგიონებში — გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის შესაბამის ტერიტორიულ ორგანოებში.

ლიცენზიის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს სანადირო იარაღის რეგისტრაციის მოწმობა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობა 5 ლარის ოდენობით დაფიქსირებული გადასახადის გადახდის შესახებ.

გადამფრენ ფრინველებზე სანადირო სეზონი გაიხსნება 2003 წლის 16 აგვისტოს.

ლიცენზიების გაცემა იწარმოებს 2003 წლის 12 აგვისტოდან.

საქართველოს ტერიტორიაზე ნადირობა ნებადართულია ყოველდღიურად შემდეგ ვადებში შემდეგ სახეობებზე:

1. 16 აგვისტოდან — 15 თებერვლამდე — მწყერზე, მგრედზე, ქედანზე, გვრიგზე, ჩიბუხაძე (ბეკასი), ღაღლაზე, ჭაობის ქათამზე;
2. 15 ოქტომბრიდან 15 დეკემბრამდე — ტყის ქათამზე;
3. 1 ნოემბრიდან 1 მარტამდე — წყალმცურავ ფრინველებზე (ბაგი, იხვი, მელოტა).

დმანისში, წალკაში, ნინოწმინდაში და ახალქალაქში 1-ელ პუნქტში მოყვანილ სახეობებზე ნადირობა დაიშვება დადგენილი ვადიდან ორი კვირით გვიან — 30 აგვისტოდან 15 თებერვლამდე.

მაღალმთიან რაიონებში — ახალქალაქი, ახალციხე, წალკა, ნინოწმინდა — წყალმცურავ ფრინველებზე (ბაგი, იხვი, მელოტა) ნადირობა ნებადართულია 15 ოქტომბრიდან 15 დეკემბრამდე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შპს „ანალიზხელსაწყო“ იურიდიულ-საორგანიზაციო ფორმის შეცვლასთან დაკავშირებით აცხადებს არსებული ფორმის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ლიკვიდაციას.

მისამართი: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი 36.

ტელ: 77-68-22.

კრედიტორების მიერ წარსადგენი მოთხოვნების ვადაა 30 დღე.

ლიკვიდატორი
თ. ძაგნიძე. 29.07.03.

შპს „თი-ბი-ჯი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ი. ჭავჭავაძის 74.

თაობა

თავისი მოწოდება იპოვა

ჯერ მუსიკაზე დადიოდა, შერე ბალეტზე, ქართულ ცეკვაზეც, მაგრამ პაგარამ გული ბოლომდე ვერაფერს დაუდო. ერთ დღეს წყალმსტომელთა მწვრთნელმა ირაკლი ბართაიამ (გრიბოედოვის ქუჩაზე მემობელ სახლში ცხოვრობდა) უთხრა, წამოდი, „ლაგუნა ვერეში“ ცურვა მოგახდებაო. არც დაფიქრებულა, ისე გაპყვა.

— სპორგით ჩემი დაინტერესება ყველაზე მეგად მამას გაუხარდა, — მითხრა სოფიკო ხუციშვილმა. — იგი ყოფილი მოჭიდავეა, ექვსჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი. სპორგსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ საკავშირო პირველობის გამარჯვებულიცაა...

ასე შემთხვევით დაიწყო 5 წლის სოფიკო ხუციშვილმა წყალგომაში ვარჯიში მაშა-შვილ ბართაიების ხელმძღვანელობით. ახლა 12 წლისაა — 1991 წლის 30 ოქტომბერს არის დაბადებული, თბილისის ქართული სასწავლებლის მერვე კლასში სწავლობს. 2001 წელს პირველად იასპარეზა საქართველოს ჩემპიონაგში და ერთმეგრიანი გრამპლინიდან სგომაში IV ადგილი დაიკავა. მომდევნო წელს სგრასბურგის საერთაშორისო ტურნირზე ამავე სახეობაში ოქროს შედალი მოიპოვა, სამმეგრიანი გრამპლინიდან სგომაში კი — ბრონჯაოს შედალი. მსგავსი ჯილდოთი დაბრუნდა იგი ამბარცუმიანის სსოფლის ტურნირიდან, რომელსაც ერევანში უმასპინძლა.

წლეულს სმოლნოკის (უნგრეთი) საერთაშორისო ტურნირზე სამმეგრიანი გრამპლინიდან სგომაში II ადგილი დაიკავა.

— „ლაგუნა ვერეში“ ცურვა მალე ვისწავლე, — გაიხსენა სოფიკომ. — ირაკლი მასწავლებელმა წყალსგომაზე გადამიყვანა. საკმაოდ მარმაცი ვიყავი და ნორმალურად არც მივარჯიშია. მერე, რომ ვნახე, ჩემი თანაგოლები საერთაშორისო ტურნირებიდან შედლებით ბრუნდებოდნენ, მეც მოვინდომე, გოგოებმაც შემაგულიანეს. ახლა ვგრძნობ, რომ წყალმსგომელობა ჩემი მოწოდებაა.

— ყველაზე შეგიდ რომელი შეჯიბრება დაგამახსოვრდა?

— უპირველესად, სგრასბურგის საერთაშორისო ტურნირი, სადაც ოქროს შედალი მოვიპოვე — გერმანელების, პოლონელებსა და ავსგრიელებს ვაჯობე.

წლეულს თებერვალში პაგრას (საბერძნეთი) საერთაშორისო ტურნირზე თოთხმეგწლიანებში გამოვედი. სამმეგრიანი გრამპლინიდან სმოლოდ მე-7 ვიყავი. ერთმეგრიანიდან, ალბათ, საპრიზო ადგილს მოვიპოვებდი, მაგრამ შოთა კორახაშვილი გაგვეხდა ავად. ირაკლი მასწავლებელი მას ადგა თავზე საავადმყოფოში, ჩვენ კი სხვა არავინ გვასლდა, რომ შეჯიბრებაზე წავვყვანეთ, ძალიან დაგვწყდა გული, რადგან კარგად ვიყავით მომზადებული და სულ მცირე 2-3 შედლის მოპოვება შეგვეძლო.

სამაგიეროდ, კარგი შედეგები გვქონდა უნგრეთში. სამმეგრიანი გრამპლინიდან სამი ხგომის შემდეგ ყველას ვჯობნიდი, მაგრამ ბოლო ცდაზე სალომე ჯუღელმა გამისწრო, მე ვერ-ცხლის შედალი მერგო, მესამე იყო ნინო ყვავაძე. გაკვირვებული გვიყურებდნენ ევროპელები, კვარცხლბეკის სამივე საფეხურზე ქართველები რომ ავედით. მთლად გაღაირივნენ, ერთმეგრიანი გრამპლინიდან ხგომაში სალომემ და ნინომ ოქროს და ვერცხლის შედლები რომ დაიმსახურეს. სამწუხაროდ, თანაგუნდელებს გვერდი ვერ დავუმშვენე — ბოლო ცდაზე შეცდომა დავუშვი და V ადგილი დავიკავე.

— სოფიკო, სულ წყალსგომაზე ვსაუბრობთ, სპორგის სხვა სახეობა არ გიგატაცებს?

— ჩოგბურთი მიყვარს, განსაკუთრებით — თხილამურები. ყოველ გამთარს ბაკურიანისა და გუდაურში დავდივარ სასრიალოდ.

— თქვენმა მწვრთნელმა მითხრა, წყალმსგომელები ცხოველებზე გიყდებიანო...

— ჰო, ასეა, ზოგი კურდღელს უყვის, ზოგი — ძაღლსა და კგებს. მე, მაგალითად, გერმანელი „ბოქსიორი“ მყავდა, „აფონია“. სიონში, საწვრთნელ შეკრებაზე რომ მივდიოდით, თან მიმყავდა. ჩვენთან ერთად ცურავდა. ვაგყუებდით ხოლმე — ვითომ ვიხრჩობოდით, ისიც განსაცმელში ჩაგვავლებდა კბილებს და ნაპირისკენ გვექაჩებოდა. ერთხელ ასე ოთხიოდე წლის ბავშვი გადაარჩინა დახრჩობას. კარგად გაწვრთნილი იყო, ხუთი ოქროს მედალი ერგო ამ ბიჭს. ეს ამბავი ბევრ ადგილას ეწერა. ბოლოს ბაკურიანში ერევანელ ბიჭებს ეგონა, ეს ბიჭი ნამდვილ ბოქსიორია, ბოქსიორებს ასეთ ადგილებში ვინ ამოიღებ, ეს ბიჭი ბოქსიორ-ბოქსიორ ეძახეს, ბოლოს

საქართველოს რესპუბლიკა
№ 210, შაბათი, 9 აგვისტო, 2003 წელი.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



თინათინ წერეთელი და გივი ინწკირველი. 1978 წელი.

მოგვაწოდა ინა ყუშიანმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა.

ტელ: 99-66-10.

ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოაკითხონ რედაქციას გამოქვეყნებული სურათების წასაღებად.

ლიმილის დოზა

ოდესის ბაზარში:

— რად დაკალთი ასე პატარა კურდღელი? — ხორცი სულ არა აქვს!

— მე დაგკალი?! რას ამბობ? თვითონ მოკვდა.

* * *

ცოლ-ქმარი თეატრში წასასვლელად ემზადება.

ქმარი:

— უკვე გადაწყვიტე რას ჩაიცვამ, თუ ჩემთან კამათისთვის ემზადები?

* * *

— რა ვქნა, არ ვიცი: ტელევიზორი არ მუშაობს და სამუშაოზე მოწყობასაც არ აპირებს.

* * *

როცა მოგმართავ ხოლმე თხოვნით: „მითხარი, ოლონდ გულწრფელად“... შენ ყოველთვის გულისტკივილით სვდები, რომ ამ წუთიდან მოგიწევს ტყუილების ლაპარაკი.

* * *

ორი ქალური მომავალ მსხვერპლს მის სახლთან ელოდება. უცებ დაინახავენ და ერთი იტყვის:

— შესედე, აი, მოდის თავის ქმრივთან ერთად.

* * *

კაცი მეხანძრეებს ურეკავს:

— მიშველეთ, ჩემი სახლი იწვის! სასწრაფოდ წამოდით!

დისპეტჩერი:

— როგორ მოვიდეთ?

— არ გადამრიოთ! როგორ და — დიდი, წითელი მანქანით!

* * *

— **ძალიან** ვშილო, შეიძლება თეატრში დგეპატიჟოთ?

— გმადლობთ, მაგრამ დგგიგვიანდგთ, — შარშან უკვე ვიყავი.

* * *

— **რაზე** მინდა ტუალეტის ქაღალდი? ამალა მყავს...

* * *

ორსულობის პირველი ნიშნია, როცა იგრძნობ გულისრევას და დგგეზარება გაკვეთილების მომზადება.

* * *

სალხური მედიცინა გვირჩევს: ყველა ავადმყოფობის მოსარჩენად ორი წვეთი წყალი დაასხით ერთ ჭიქა სპირტს, გადაჭარით და ჩიტივით იქნებით!

გამოიცა

სრა მარტო უცხოელთათვის

ბამოვიდა ფერადი, ილუსტრირებული საინფორმაციო სარეკლამო ცნობარი „საქართველო და მისი რეგიონები“. ინგლისურ ენაზე გამოცემული ცნობარი შედგება კომპლექსური ხასიათის საინფორმაციო მასალებისგან.

საქართველოს რეგიონების გეოგრაფიული მახასიათებლების, ეკონომიკის, საექსპორტო შესაძლებლობების, კულტურის, ტურიზმის განვითარების პოტენციალის შესაძლებლობები — აი, რა მონაცემებია მასში აღწერილი. აქვე იხილავთ ინფორმაციას საქართველოში აკრძალულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებზე, აგრეთვე, მთლიანად საქართველოში და მის ცალკეულ რეგიონებში მოქმედ სავაჭრო-სამრეწველო პალატის ფილიალებსა და ტურისტულ საგენტოებზე. მითითებულია ძირითადი სასტუმროების კოორდინატები თბილისსა და საქართველოს რეგიონებში.



ცნობარი ფართო სპექტრის მკითხველისთვისაა განკუთვნილი. იგი გამოადგებათ როგორც უცხოელ ტურისტებს, ისე საქმიანი წრეების წარმომადგენლებს. იგი ასევე საინტერესო იქნება საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიური მისიებისთვის.

ცნობარის შესაძენად შეგიძლიათ დაუკავშირდეთ საქართველოს რეგიონების საგარეო ურთიერთობათა საკონსულტაციო საბჭოს სამდივნოს ტელეფონებზე:

(995 32) 98-94-27;
(995 32) 93-52-95.

ახალ სასწავლო წლამდე 20 დღეა

საპირველსექტემბროდ

ბათუმში აგვისტოს ბოლოს აჭარაში ახალი სასწავლო წლის ნორმალურად დაწყებისათვის გაწეული ზრომა გაანალიზდება. სანამ მოსწავლეები მერხებს მიუსხდებიან, ითქმება ყოველივე ის, რაც ამ სისტემაში გაკეთდა. გასაკეთებელი კი ბევრი რამ იყო და არის კიდეც. ხულოში, სოფელ უჩხაში ახალი სკოლა აშენდა, ასევე შუახევში გოგელიძეების ახალ სკოლაში უკვე დაწყებულია ინვენტარის შეგანა.

ქედაში სოფელ გეგელიძეებში კი სადაც ახალი სკოლა აშენდა, უკვე შეაქვთ ინვენტარი. საფუძველი ჩაეყარა სოფელ კვამგის საშუალო სკოლის მშენებლობას, რომელიც სასექტემბროდ ვერ მოესწრება, მაგრამ, როგორც იქნა, მისი მშენებლობა დაიწყო. ბოლო 10 წელიწადში ავტონომიურ რესპუბლიკაში 54 სკოლა საფუძვლიანად გარემონტდა და მათ მორის აშენდა კიდეც. მარგო შუახევის რაიონში 18 სკოლა იქნა წესრიგში მოყვანილი. არც მასწავლებელთა უკმაყოფილების მიზეზით შეჩერებულა სკოლის მარის რეკკვა. არც ერთი დღე არ დაუგვიანია მათ ხელფასს და მაფუხულის ხელფასიც პედაგოგებმა დროზე მიიღეს. ამ მხარეში განათლება პრიორიტეტულ დარგად ითვლება და ამ სფეროს როგორც გადმომცეს, ასლან აბაშიძის ყურადება არ აკლია. აღგილზე არიან შეებულების დაწყებიდან 3 დღის შემდეგ კვლავ უკან გამოხმობილი სკოლის დირექტორები და განათლების განყოფილების გამგეები, რათა ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებელი სამუშაო მათი მონაწილეობით მოგვარდეს, მარი პირველ სექტემბერს დათქმულ დროზე აწკრიალდეს. ამაში ბათუმის მერიის დადგენილებამაც დამარწმუნა, რომელიც წლეულს, ჯერ კიდევ 20 მარგს არის მიღებული.

ბათუმის ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების, გიმნაზიების, ლიცეუმების, ინტერნატების, საბავშვო სახლის, ბაგა-ბაღების 2003-2004 სასწავლო წლისათვის ორგანიზებულად მომზადების მიზნით მათზე სპონსორობის სურვილიც გამოთქვა და მერიის ეს გადაწყვეტილება ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად მომზადებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას ეხება.

საშუფო სასწავლებლებე მათი მიმაგრების განრიგიც ჯერ კიდევ მამინ შედგა. ამით ბათუმში განლაგებულ ყველა წარმოება-დაწესებულებას დაევალა სასწავლო დაწესებულებებზე შეფობა. მესრულებაზე კონტროლს კი ბათუმის ვიცე-მერი ისმეთ განგაბა ახორციელებს. მაგალითად, ბათუმის კულტურ გიმნაზიაზე აჭარის რაიონული საბაჟო-საქართველოს საზღვაო ბანკი შეფობს. ბათუმის მე-9 სკოლას მპს „ნავთობბაზა“ ეხმარება. მე-11 სკოლას მპს „ბათუმის საზღვაო-სავაჭრო“ და ა. შ. ასე რომ, ყველა სასწავლო დაწესებულებას ჰყავს თავისი სპონსორი, ეს არის ზღვისპირა პარკების გაერთიანება“ თუ სხვა ორგანიზაციები, ყველა დეპარტამენი და სამინისტრო, ბათუმის მერია, სტყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი, ეკონომიკის, ფინანსთა, კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროები. სახელმწიფო უმიშროებისა და მინაგან საქმეთა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, სოფლის მეურნეობისა და სურსათის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები; ურბანიზაციისა და მშენებლობის დეპარტამენტის საგადასახადო ინსპექცია, სახელმწიფო

კონცერნი, „აჭარყოფსერვისი“, ავტონომიური რესპუბლიკის კონტროლის პალატა, საგზადსახადო დეპარტამენტი, მპს „აჭარკოოპკავშირი“ და სხვა.

ბათუმის მერიის ასეთი მოქმედების შესაბამისად მიიღეს აჭარის ყველა რაიონის გამგეობებმა და განათლების ორგანოებმა ამ სისტემის ობიექტებისადმი სათანადო სამუშაოების ჩაგარების შესახებ გადაწყვეტილება.

სპონსორთა წარმომადგენლები, გამგეებები და განათლების სფეროს ხელმძღვანელი მუშაკები როცა შეიკრიბებიან, სათანადოდ განაანალიზდება, თუ რა გაკეთდა ამ მაფხულს განათლების სისტემისათვის და დარჩენილი დროის განმავლობაში კიდევ რისი გაკეთება მოესწრება.

15 აგვისტოს საქართველოს განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, ისე როგორც თბილისში, ქუთაისში სასკოლო ბაზრობა ბათუმშიც დაიწყება, სახელმძღვანელოებთან ერთად მოსწავლისათვის ყველა აუცილებელი სასწავლო ნივთი გაიყიდება. იგი გრადიციულად ბათუმის მე-3 სკოლის შენობაში გაიმართება, ისე როგორც მთელ საქართველოში, ამ მხარეშიც მოსწავლეებს, მათ მშობლებს ფასდაფიცირებული სახელმძღვანელოების შეძენა არ მოუხდებათ. გაიყიდება მხოლოდ ის სახელმძღვანელო, რომელიც საქართველოს განათლების სამინისტროს ჩამონათვალშია შეგანილი (წინა წელს მოსწავლეებს 230 000 სახელმძღვანელო უსასყიდლოდ გადაეცათ).

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დიდი დრო აღარ დარჩა, აჭარის განათლების სისტემის თითოეული რგოლი მობილიზებულია და მრავალმხრივი მოსამზადებელი მუშაობა მიმდინარეობს (ამაში დავრწმუნდი, სადაც კი მისვლა მომიხდა); ხდება საგანმანათლებლო დაწესებულებების ეზო-გარემოს მოწესრიგება, დასუფთავება, ინვენტარის შეგანა, კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობილობათა შეკეთება და ა. შ.

აჭარის განათლების მინისტრმა ნანი გუგუნავამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა:

— კვლავაც ყურადღება მიექცევა განათლების თვისებრივ ცვლილებებს, რომლის იერიდანაც საფუძველია კანონი „განათლების შესახებ“. ასე რომ, განათლების სფერო ისე, როგორც მთელ საქართველოში, ჩვენი საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. გაგზრებულია ამ სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებები, ეს კი არის განათლების რეფორმის ეტაპობრივი განხორციელების პრინციპები, მისი ვადები, ქსელის ახლებური დისლოკაციის მოდელი, მოსალოდნელი სტრუქტურული ცვლილებები, განათლების სფეროს მართვის სრულყოფის ამოცანები, სწავლების მინაარსისა და ხარისხის გაუმჯობესების პერსპექტივები, რაც დამოკიდებულია იმ მენობების გამძლეობაზე, რომელშიც სასწავლებლები იმყოფებიან, ინვენტარით მათი დროზე მომარაგებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებით.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება იგრძნობა ავტონომიური რესპუბლიკის 7 უმაღლეს სასწავლებელში, 404-ზე მეტ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, მათ მორის 160 დაწყებით, 54 საბაზო, 168 საშუალო, 6 გიმნაზიასა და 4 ლიცეუმში, 2 სკოლა-ინტერნატში, 46 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში. მათი აღზრდის საქმეს ხომ აჭარაში 7280-ზე მეტი მასწავლებელი ემსახურება, რომელთაც ხელშეწყობა და პირველი სექტემბრიდანვე სამუშაო განწყობის შექმნა სჭირდებათ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სფერო სრულიად საქართველოს განათლების სისტემის შემადგენელი ნაწილია. ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა შექმნეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსის განხორციელების წინაპირობა... ყველაფერი უნდა მოესწროს. აჭარაში ახალი სასწავლო წელი გრადიციულად პირველ სექტემბერს დაიწყება.

ნათელა ფაილოძე,

„სრ“ სპეც. კორ.

სურათზე: ბათუმის კლასიკური გიმნაზია (ქვემოთ), სოფელ სარფის სკოლა (შემოთ).

მპს „პრესა-2002“ სარეზერვო დამკაბადონებლად სამუშაოდ იწვევს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს.
ტელ: 99-06-88, 899-56-01-77.

გასხენება

რამაზ ქუთათელაძე

ჩვენო **რამაზ**, რა მალე მიიღეა 40 დღე. ჯერაც გაოგნებულები ვართ, ასე უცებ როგორ გამოგვეცალე ხელიდან. შენი გარდაცვალების შემდეგ გაწმენდა დიდი სიცარიელე და ვერ ვეგუებით იმ აზრს, რომ ჩვენთან აღარა ხარ და სამუდამოდ დაგვგოვე. მენ იყავი უპრეტენზიო კაცი, უყურადღებო შენი თავის მიმართ, სხვისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი და ამიგომაც ზღვა ცრემლი გაგაგანეს.

შენი კაცობის იმედად დაგოვე ოჯახი: ქალბაგონი ნათელა, პაკო, რამაზიკო, გიორგი, შენი და მზია.

შენი წასვლით გამოწვეული წუხილი არ განელდება. ღმერთმა სულ ნათელში გამყოფოს, ჩვენო რამაზ. მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური ქართული მიწა.

მეგობრები.

საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საპროექტო საძიებო ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის მთავარი სპეციალისტი, მელიორაციული პროექტირების ღვაწლმოსილი მუშაკი, ინჟინერი

მიხეილ ჯალაღანია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კომპანია „მედინსერვის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კომპანიის თანამშრომლის ბ-ნ ნოდარ აბელაშვილის დედა

მარიამ აბელაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ვენედი ბენიძე თანაუგრძნობს აჭარის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს ბაგონ ვაჟა ხახუტაიშვილს იმის

რევაზ ხახუტაიშვილის

გარდაცვალების გამო.

ხსოვნა

ალექსანდრე სიდამონიძე

ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი გამოჩენილი წევრი, თავისი საქმის უბადლო მცოდნე და მაღალი კლასის პროფესიონალი **ალექსანდრე სიდამონიძე.**

იგი დაიბადა თბილისში 1942 წელს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ბაგონი ალექსანდრე მუშაობას იწყებს თბილისის ფეხსაცმელების ფაბრიკა „ისანში“. შემდეგ წარმატებით ამთავრებს მოსკოვის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს მანქანათმშენებლის სპეციალობით.

1980 წლიდან ა. სიდამონიძე მრომით მოღვაწეობას აგრძელებს ქ. თბილისის საგრანსპორგო გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც პროფესიონალმა და ორგანიზაგორული ნიჭით დაჯილდოებულმა ადამიანმა. სწორედ ამ თვისებებმა განაპირობეს 1987 წელს მისი დანიშვნა საქართველოს ავგოსადგურების რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორად.

1992 წელს ბაგონი ალექსანდრე ოჯახთან ერთად დროებით საცხოვრებლად გადადის მოსკოვში.

თბილისში დაბრუნების შემდეგ, 1997 წელს ა. სიდამონიძეს ირჩევენ საავქციო საზოგადოება „თბილისის ცენგრალური ავგოვაგზლის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ, სადაც იმუშავა სიცოცხლის ბოლო დღეებამდე.

მაღალი პროფესიონალი, კეთილი და გულისხმიერი, ოჯახისა და მეგობრების ერთგული და მოსიყვარულე ადამიანი — ასეთად დაამახსოვრდებათ ალექსანდრე სიდამონიძე ყველას, ვისაც ხვდა წილად ბედნიერება მის გვერდით ეცხოვრა და ემოღვაწა.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მშობლიური მიწა.

ღმერთმა აცხონოს მისი სული!

საავქციო საზოგადოება თბილისის ცენგრალური „ავგოვაგზლის“ სამეთვალყურეო საბჭო და ადმინისგრაცია.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ხსოვნა

დინარა ნოდია

ქართულმა სახვითმა ხელოვნებამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა საყოველთაოდ ცნობილი შემოქმედი, საქართველოს სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, შრომის წითელი დროშისა და ღირსების ორდენოსანი, პუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დაზგური გრაფიკის კთედრის გამგე, პროფესორი **დინარა ნოდია.**

დაიბადა 1931 წელს. 1949-1955 წ.წ. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში გამოჩენილ მხატვრებთან და პედაგოგებთან: ი. მარლეფანთან, ლ. გრიგოლიასთან, ლ. ქუთათელაძესთან, ბ. შებუევთან. იმ ადამიანთა შორის, ვინც მისი პიროვნების და ხელოვნების ჩამოყალიბებაში ითამაშა დიდი როლი, იყო გამოჩენილი თეატრალური მხატვარი ირინა შგენბერგი.

დინარა ნოდიამ, ქართველ 60-იანელთა ერთ-ერთმა უნიჭიერესმა წარმომადგენელმა დიდი წვლილი შეიგანა მეოცე საუკუნის ქართული გრაფიკის მხატვრული ენის გამდიდრებაში, სხვადასხვა საგრავიორო ტექნიკის შესაძლებლობების პოპულარიზაციაში. აკადემიის დამთავრების პირველ წლებში შექმნილი ლინოგრავიურების სერიის „ჭიათურის“ შემდეგ იწყება შემოქმედის წარმატებული გზა საგამოფენო დარბაზებისკენ, აღიარებისკენ. რამდენიმე ათეული წლის მანძილზე დინარა ნოდიამ საზოგადოებას წარუდგინა მრავალრიცხოვანი საინტერესო ხასიათის სერიები: „რუსთაველი“, „ჩემი საქართველო“, „ძველი თბილისის მოგივები“, „სვანეთი“ და სხვა. ამ ნამუშევრებში დაფიქსირებულია საქართველოს ბუნება, თანამედროვეთა ცხოვრება, ისტორია... რომანგიკული სულისკვეთებით აღსავსე, ემოციური სერია „კუბა“ გამოხატავს მხატვრის პოეტურ მთაგონებას, სიცოცხლის ბოლო წლებში მხატვარი ბევრს მუშაობდა რელიგიურ მოგივებზე შექმნილ ნაწარმოებებზე. დინარა ნოდიას დაზგური სერიები გამოირჩევა მახვილი გრაფიკული ხედვით, გამოყენებული ტექნიკის შესაძლებლობების ოსტატური ფლობით, კომპოზიციური და აზრობრივი მრავალფეროვნებით.

დინარა ნოდია მრავალმხრივი შემოქმედი იყო — წარმატებით მუშაობდა ზეგნის გრაფიკაშიც. სადიპლომო ციკლის ა. გოლსგოის „ბანი წმანისანის“ შემდეგ შექმნა ნაწარმოებები ა. პუშკინის „ბელკინის მოთხრობებისათვის“, ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანისათვის?!“ და სხვა. წარმატებული იყო მისი თანამშრომლობა კოტე მარჯანიშვილის სახელობის და მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრებთან. მხატვარმა მათთვის შექმნა რამდენიმე ათეული სპექტაკლის დეკორაციების და კოსტიუმების ესკიზები.

თავის მეუღლესთან, მხატვარ თენგიზ სამხონაძესთან ერთად დინარა ნოდია იდგა ქართული საგელეზეიმო მხატვრობის სათავეებთან. იყო მრავალი გადაცემის და დადგმის მხატვარი, მასვე ეკუთვნის პირველი ქართული საგელეზეიმო ფილმის „დედის ხელის“ მხატვრობა. რამდენიმე ათეული წელი დინარა ნოდია მუშაობდა პოპულარული ჟურნალის „დროშის“ მხატვრულ რედაქტორად.

დინარა ნოდია იყო საქართველოს მხატვართა, ჟურნალისტთა და კინემატოგრაფისტთა კავშირების წევრი. მრავალი წელი მონაწილეობდა მხატვართა კავშირისათვის მნიშვნელოვანი, საჭირბოროგო საკითხების გადაწყვეტაში, როგორც გამგეობის და გრაფიკის სექციის ბიუროს წევრი.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დინარა ნოდიას პედაგოგიური მოღვაწეობა სამხატვრო აკადემიის გრაფიკის კათედრაზე. 1966 წლიდან როგორც პედაგოგი, შემდეგში კათედრის გამგე ხელს უწყობდა მომავალი მხატვარ-გრაფიკოსების თავისუფალი აზროვნების გამომუშავებას, აზიარებდა გრაფიკული ხელოვნების საიდუმლოებას. დამოუკიდებელ ასპარეზზე გასული მისი აღზრდილები გამოირჩევიან არრევანის თავისუფლებით, სილაღით, არ არიან რაიმე დოგმებით შემღუდულები, კარგად ფლობენ პროფესიულ ჩვევებს, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს ქართული გრაფიკის საყოველთაო წარმატებას, მის აღიარებას. დინარა ნოდია საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილე იყო. ბევრს მუშაობდა ქართულ-გერმანული კულტურული ურთიერთობების განმტკიცება-განვითარებისათვის. მხატვრის შემოქმედება ყოველთვის იპყრობდა ხელოვნების მოყვარულთა ყურადღებას საქართველოში და საზღვარგარეთ გამართულ მრავალრიცხოვან პერსონალურ და ჯგუფურ გამოფენებზე. მისი ნამუშევრები რამდენჯერმე აღინიშნა წლის საუკეთესო ნამუშევრის მედლით, ფლობდა მრავალ სახელმწიფო ჯილდოს და წოდებას. დინარა ნოდიას ნამუშევრები დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, ეროვნულ გალერეაში, პუშკინის სახელობის მუზეუმში, გრეგიკოვის გალერეაში, საზღვარგარეთის კერძო კოლექციებში.

ქართული ხელოვნების ნიჭიერი მსახური და მშვენიერი ქალბაგონი, ყოველთვის ელეგანტური და კეთილგანწყობილი, ნიჭიერი შემოქმედი, მხატვრის დიდი ოჯახის დისახლისი, მხატვარ-გრაფიკოსთა თაობების აღმზრდელი — ასეთად დაამახსოვრდებათ დინარა ნოდია ქართულ საზოგადოებას, კოლეგებს, მის მრავალრიცხოვან აღზრდილებს.

საქართველოს კულტურის სამინისტრო;
საქართველოს მხატვართა კავშირი;
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია.

გარდაიცვალა ცნობილი შემოქმედი **დინარა ნოდია**, საქართველოს სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის სამხატვრო აკადემიის დაზგური გრაფიკის კათედრის გამგე, პროფესორი, სანტერესო და ნიჭიერი მხატვარი, მშვენიერი ქალბატონი, უმადო პიროვნება.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილს გამოთქვამს ღირსეული მამულიშვილის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ოჯახს.

მერაბ ბერძენიშვილი.

მემნუნე, მერი, ნინო, მანანა, ლევან და თენგიზ ჩარკვიანები, რევაზ ციციშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდებული ხელოვანი, ერის სახელოვანი შვილი, ბრწყინვალე პიროვნება, პროფესორი

 დინარა ნოდია-სამსონაძისა

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი საპარლამენტო კომისია, სამდივნო და აპარატი თანაუგრძნობენ ლაკერბაიების ოჯახს, ნათესავებსა და ახლობლებს

ვახტანგ (ღუდა) ბაღრას ძე ლაკერბაიას

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეგობრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვალიკო უჯმაჯურიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მამია სულაბერიძე, იუზა ლორია, ოთარ ბიწაძე, ავთანდილ იამვილი, დიმიგრი მაჩიგიძე, ვახტანგ თოდუა.

ოთარ ბიწაძის ოჯახი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ოჯახის ახლობლისა და მეგობრის

ვალერიან უჯმაჯურიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ ბელაშვილი, გურამ გოგბაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნოდარის მორიგე რედაქტორი
რუსუდან ლორთქიფანიძე.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რეინგბის №ინ 20.